საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია ძიძიგური

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"ს თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"ს წევრი

კომისიის (კომისიების) წევრობა: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია; ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული წესით

საანგარიშგებო პერიოდი: 2018 -2019 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: სულ 13 სხდომა ჩატარდა , აქედან 13 სხდომას ვესწრებოდი;

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
   119 საკითხი;

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
   1. 24.05.19 სხდომის ერთი საკითხი, კერძოდ : ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემას (მერიამ საკითხი გაიწვია);
   2. 30.10.19 სხდომის სამი საკითხი კერძოდ: ა)თავი შევიკავე- ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ღმასრულებელი ორგანოსთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემა. ბ)ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს'ხიდი 2006"-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. გ) მხარი არ დაუჭირე ქ.ბათუმის გარკვეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე შპს „საერთაშორისო სამშენებლო ჯგუფის" მოთხოვნას(მერიამ საკითხი გაიწვია);

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:
   განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის 11-დან 9 სხდომაში მივიღე მონაწილეობა;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის 7 სხდომა ჩატარდა, აქედან 6 მივიღე მონაწილეობა;

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
   განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე 41 საკითხი;
   ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიაზე 6 საკითხი;

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
   ყველა საკითხი ორივე კომისიაზე ჩემს მიერ იყო მხარდაჭერილი, მაგრამ მქონდა რიგი შენიშვნები და მოსაზრებები რაც გაითვალისწინა კომისიამ;

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:

   1 . *ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამას მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (7 შვილი) საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შევედი ინიციატივით საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროგრამაში შევიდეს ცვლილება და საცხოვრისით უზრუნველყოფა მოხდეს 6 შვილიან ოჯახებზე. ამ ეტაპისთვის საუბარია ქ.ბათუმში მცხოვრები რვა ოჯახზე რომელსაც გააჩნია ყველაზე დაბალი ქულა 1000დან -54000 დე ს/ქ და სოციალურად დაუცველები არიან (სია თან ერთვის).*

   2. *ქალაქის ზრდის ტემპებთან ერთად იზრდება მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე, რომელიც უნდა მდებარეობდეს ახალაშენებულ და არა მარტო მრავალსართულიანი ბინების მახლობლად, რათა მოხდეს უბნის გეგმაზომიერი განვითარება შესაბამისი ინფრასტრუქტურიტთ, ბაღებით, სკვერებითა და სკოლებით(როდესაც მთლიანად გადმოვა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში). აქედან გამომდინარე, შევედი ინიციატივით დაიწყოს არსებული ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი მიწის ნაკვეთების მოკვლევა, იდენტიფიცირება შემდგომი დაღის/სკოლის მშენებლობისათვის ანუ შეიქმნას ხელშეუხებელი მიწის* ***ე.წ „ ოქროს ფონდი“.***

   3. *შევედი ინიციატივით ქ. ბათუმში ერთ ერთ ქუჩას დაერქვას მერი შერვაშიძის სახელი.* ***მერი პროკოფის ასული შერვაშიძე-ერისთავი*** *(დაიბადა 1888* ***ქ.ბათუმი*** *— გ. 21 იანვარ 1986,* ***პარიზი)*** *— სილამაზით განთქმული ქართველი არისტოკრატი ქალბატონი, გადმოცემით გალაქტიონ ტაბიძის „მუზა“,* ***1921*** *წელს, სტამბოლში სილამაზის მსოფლიო კონკურსის გამარჯვებული, ფრანგული მოდის მოწინავე დიზაინერის* ***კოკო შანელის*** *მოდელი.*

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:
   ყოველ სამუშაო დღეს და თემატური შეხვედრები ;

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:
   დაახლოებით 75 ადამიანი;

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები: დასაქმება, პროექტების განხორციელებაში, სოციალური, ჯანდაცვის საკითხებში გარკვევა და მხარდაჭერა.

11. **სხვა განხორციელებული საქმიანობები** :

24 ოქტომბერი - ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელებული პროექტის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი"ს ფარგლებში მოვინახულე აშენებული სახლები და ადგილზე გავეცანი პირობებს;

21 ოქტომბერი - ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შევხვდი;

17 ოქტომბერი - მივიღე მონაწილეობა ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში;

2 ოქტომბერი- ვეწვიე ქ. ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრს და ადგილზე გავეცანი იქ არსებულ მდგომარეობას;

30 სექტემბერი - ჩემი ინიციატივით დავიწყე შეხვედრების სერია აქტიურ ქალბატონებთან ეგიდით - „ქალები წარმატებისაკენ";

20 სექტემბერი - ლერმონტოვის ქ. N96-ში მიმდინარე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი დავათვალიერე;

13 სექტემბერი ქ.ბათუმი -ორგანიზაცია IRI ხელშეწყობით დავესწარი გამართულ შეხვედრას „პოლიტიკური პროცესების გენდერული განზომილებები";

11 სექტემბერი ქ. თბილისი - დავესწარი საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მე-6 ყოველწლიური კონფერენციას;

22 აგვისტო ქ.ბათუმი- მივიღე მონაწილეობა შეხვედრაში თემაზე „შშმ ქალთა ჯამრთელობის დაცვის საკითხები";

9 აგვისტო ქ.ბათუმი- „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს" არგანიზებით მივიღე მონაწილეობა ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული საკანონდებლო ცვლილებების შესახებ გამართულ დისკუსიაში;

8-9 ივლისი ბაკურიანი - ორგანიზაცია World Vision და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მხარდაჭერით მივიღე მონაწილეობა შეხვედრაში თემაზე "ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისათვის";

14 ივნისი - საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. ამ დღეს ვეწვიე თამარის დასახლებაში N 22-საბავშვო ბაღის ინკლუზიურ ჯგუფს;

12 ივნისი - ვეწვიე ბათუმის მუნიციპალურ ღამის თავშესაფარს, ადგილზე გავეცანი არსებულ სიტუაცია;

6 ივნისი -ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ღონისძიების "გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რაიონის" ფარგლებში გამართულ კონკურსის ჟიურის წევრი;

2018 -24 დეკემბერი - ქ.ბათუმის საკრებულოს „ღია კარის" დღე;

2018 -20-22 დეკემბერი, შეკვეთილი - საქართველოს საკრებულოს წევრთა კონგრესი.

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი - *ქვეპროგრამა "კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა " დაფინანსების ფარგლებში.*

ქ.ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი- *ქვეპროგრამა "ხელოვანთა ხელშეწყობის" დაფინანსების ფარგლებში.*

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

12.ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა:

27 სექტემბერი- სოხუმის დაცემის დღე, საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპული ეროვნულ გმირებს მივაგე პატივი;

17 სექტემბერი - მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცე;

8 გვისტო- 8 აგვისტოს ომში დაღუპულების ხსოვნას მივაგე პატივი;

1 ივნისი - ბავშვთა საერთაშორისო დღე მივულოცე მე-14 საბავშო ბაღის აღსაზრდელებს და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას დავესწარი;

31 მაისი -მე-9 საბავშო ბაღს მივულოცე 50 წლის იუბილე;

9 მაისი -ფაშიზმზე გამარჯვების დღე მივულოცე მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანს, დამსახურებულ პედაგოგს ქალბატონ ქეთო ლორიას;

28 აპრილი - „ბათუმობა 2019" ღონისძიებებს დავესწარი;

14 აპრილი -საქართველოში ქართული ენის დაცვის, დედაენის დღე აღინიშნება, ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან, დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დავეცწარი;

9 აპრილი - ბათუმში 9 აპრილის მემორიალი გაიხსნა. 9 აპრილს დაღუპულებს პატივი მივაგე;

21 მარტი - მსოფლიო დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრ „თანას" ბენეფიციარებს ვესტუმრე;

8 მარტს - ავღნიშნეთ გამწვანების აქციით ცენტრალურ პარკში;

3 მარტი - დედის დღე მივულოცე თავშესაფარში მყოფ მარტოხელა დედებს ;

შედეგი, ეფექტი:

მიღებული იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე როგორიცა: თვითმართველი ერთეულის განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგია, ბიუჯეტი და სხვა. ანგარიშის წარდგენის მომენტისთვის, ჩემს მიერ ინიცირებული პროექტების განხილვა საკრებულოს კომისიებზე არ მომხდარა, შესაბამისად შედეგებს ჯერ ჯერობით ვერ ავსახავ.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

მოსახლეობის უფრო აქტიური ჩართვა და მეტი კომუნიკაცია დაგეგმარების პროცესში მათ უშუალო საჭიროებებზე დაღრდნობით. პრობლემების შესწავლა შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაყენების გზით. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური პროგრამების შესახებ .ქალაქის გამწვანების საკითხების გააქტიურება, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, რეგიონის გაძლიერებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.